# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 1 აპრილი 2006 №72 (2694) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინგლისური მარილი ქართულ სუფრაზე

## გაუძლებს ჩვენი ფეხბურთის ორგანიზმი ამდენ ახალ წელს?



ასეთი გადატვირთული კალენდარი ინგლისურ პრემიერლიგას აქვს ხოლმე ახალი წლის დღეებში — მოკლედ, მიჰყვა და მიჰყვა ტურები საქართველოს ჩემპიონატში და აი, დღესაც...

ტურის მთავარმატჩის გამორჩევა ძნელია, მაგრამ საინტერესო უნდა იყოს ახალგამომცხვარი ლიდერისა და შემადგენლობამოძლიერებული აუტსაიდერის თამაში: ბოლნისში „სიონი" — „თბილისია" და ეჭვი გვაქვს, მასპინძლები ღიღინღიღინით ვერ აიღებენ სამ ქულას, ბრძოლა უთუოდ იქნება.

კარგი იქნება გლდანური „ამერი" — „ბათუმი" და კურორტული „ბორჯომი" — „დინამოც". ოთხივე გუნდი ლიდერთა შორის ან იქვე შორიახლოსაა. ვნახოთ...

პირველი წრის „დინამო" — „ბორჯომი" ძალიან დრამატული და სტუმრებისა იყო

[illegible] ფოტო

# EL და CLASICO

მომავალ ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მატჩში „ბარსელონა" „ბენფიკას" უმასპინძლებს, მაგრამ „კამპ ნოუს" დღეს „რეალი" სტუმრობს და ვის ებენფიკება კატალონიაში?! „ბენფიკა" კი არა, „ბარსას" მომავალ ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის ფინალიც რომ ელოდეს, „ელ კლასიკო" — „ელ კლასიკოა"! გასულ შემოდგომაზე მადრიდში „ბარსელონამ" 3:0 მოიგო და რონალდინიოს თამადობით ისე ითამაშა, რომ „სანტიაგო ბერნაბეუს" ქომაგებმა ტაშისკვრით ხელისგულები დაიწითლეს. რა შეიცვალა მას შემდეგ? „რეალმა" მწვრთნელი და პრეზიდენტი გამოიცვალა, მაგრამ თამაში — ვერა, „ბარსელონას" კი ჩემპიონობამდე ბევრი აღარ უკლია და შესაძლოა, „რეალი" დღეს სამ ქულად დაახურდავოს.








## ინგლისი

ჩემპიონატი. XLI ტური

კრ. პალასი 3:1 უოტფორდი

I ლიგა. XL ტური

ჰარტლპული 1:1 ოლდემი

ტრანმერი 3:0 პორტ ვეილი

## იტალია

სერია B. XXXV ტური

ტორინო 2:1 კატანია

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XXVIII ტური

კოტბუსი 2:1 ფრაიბურგი

კარლსრუე 2:1 ფიურტი

პადერბორნი 1:3 ბოხუმი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXIX ტური

ვატენშაიდი 3:3 ოსნაბრიუკი

სამხრეთ რეგიონალლიგა XXIV ტური

ტრირი 1:1 შტუტგარტი (მ)

ჰოფენჰაიმი 2:2 დარმშტადტი

პფულენდორფი 2:2 აუგსბურგი

## საფრანგეთი

II დივიზიონი. XXXII ტური

კაენი 1:0 გენიონი

კლერმონი 0:2 შატორუ

დიჟონი 1:2 ლე ავრი

გენგამი 2:1 რეიმსი

ისტრი 1:0 ამიენი

ლავალი 0:2 ვალანსიენი

ლორიანი 3:0 მონპელიე

სეტე 1:1 კრეტეი

სედანი 2:2 ბრესტი

## ჰოლანდია

ერედივიზიონი. XXXI ტური

უტრეხტი 3:1 ვალვაიკი

II დივიზიონი. XXXVII ტური

აპელდორნი 0:1 ჰაარლემი

გრააფსხაპი 2:0 ოსი

ექსელსიორი 3:1 ვენლო

დენ ბოსხი 4:1 სიტარდი

დორდრეხტი 0:2 ჰელმონდი

ეინდჰოვენი 3:3 კამბური

ვოლენდამი 2:0 ალმერე

იგლსი 2:1 ტელსტარი

მაასტრიხტი 2:0 ზვოლე

ვეენდამი 2:0 ემენი

## ბელგია

იუპილერლიგა. XXIX ტური

ანდერლეხტი 1:1 ლოკერენი

## პორტუგალია

სუპერლიგა. XXIX ტური

ბრაგა — ნასიონალი *გვიან დამთავრდა*

## ავსტრია

I დივიზიონი. XXVI ტური

ალტახი 1:1 გრატკორნი

ავსტრია (მ) 0:1 ლეობენი

კაპფენბერგი 1:3 კერნტენი

კუფშტაინი 0:1 ლინცერი

შვანენშტადტი 0:2 ავსტრია (ლ)

## ირლანდია

პრემიერდივიზიონი. IV ტური

ბოჰემიანსი 4:2 უოტერფორდი

დროჰედა 1:0 ბრეი

დუბლინი 0:0 კორკი

## რუსეთი

პრემიერლიგა. III ტური

ტორპედო 0:0 ამკარი

დინამო 1:1 სატურნი

## პოლონეთი

პირველი ლიგა. XXII ტური

ლეგია 2:0 პოგონი

## უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. XXI ტური

ფეჰერვარი 3:1 რეაკი



# შეცდომების გასწორება

## გერმანელებმა ფედერაციის კვალი წაშალეს

**არასოდეს** ისეთი ერთსულოვანი არ ყოფილა ქართული საფეხბურთო სამყარო, როგორც კლაუს ტოპმიოლერის დანიშვნისას. მართალია, ერთეულებმა იწუწუნეს, ამხელა ფულის მწვრთნელში გადახდას, ჯერ ინფრასტრუქტურისთვის მიგვეხედაო, მაგრამ გერმანელი მწვრთნელის უმაღლეს კვალიფიკაციაში არც მათ შეუტანიათ ეჭვი. ეგ იყო, ტოპმიოლერის წარმატებული მუშაობის წინაპირობად ყველამ ერთი და იგივე დათქვა: თუ ხელს არ შევუშლით და „რჩევა-რეკომენდაციებით“ მის საქმეში არ ჩავერევითო...

და როგორია ვითარება თითქმის სამი თვის შემდეგ?

კლაუს ტოპმიოლერმა სამ ათეულამდე ფეხბურთელთან ერთად მოიარა მალტის ტურნირი, ერთი ამდენიც ალბანეთში იახლა, საქართველოს ჩემპიონატის ორიოდ შეხვედრასაც დაესწრო და...

12 აპრილს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მალტელ თანატოლებს მათსავე მოედანზე გაეჯიბრება. ჯერჯერობით უცნობია რალფ მინგეს რჩეულთა სრული სია, თუმცა ამთავითვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძირითადი აქცენტი 1984-85-86 წლებში დაბადებულ ფეხბურთელებზე გაკეთდება. ეს ის თაობაა, შარშანდელი ზაფხულიდან მოულოდნელად თამაშგარე მდგომარეობაში რომ აღმოჩნდა და ლამის „დაკარგულ თაობად“ მოინათლა. მაშინ სპორტული მედია ერთსულოვანი იყო: არ შეიძლება, გრძელვადიანი სტრატეგიის მომიზეზებით, ობიექტურად უფრო ძლიერ მოთამაშეებს ნაკრების კარი მივუხუროთ. დრომ და ვითარებამ ცხადყო, რომ მაშინდელი ჩვენი პათოსი ლოგიკურიც იყო და ობიექტურიც.

რა კავშირი აქვს რალფ მინგეს სიასთან კლაუს ტოპმიოლერს? რა თქმა უნდა, პირდაპირი. ზემოთ ჩამოთვლილი „კასტინგები“ ტოპმიოლერისა და მისი თანაშემწისთვის საკმარისი აღმოჩნდა, რათა შარშან დაშვებული შეცდომა გამოესწორებინათ და ხელოვნურ კალაპოტში გადაგდებული ქართული ფეხბურთის დინება კვლავაც ბუნებრივში დაებრუნებინათ. საქართველოს დღევანდელ ახალგაზრდულ ნაკრებში ჯაბა კანკავას, ნუკრი რევიშვილს, გოგი ფიფიას, ორივე გიორგი ჭელიძეს, ზაალ ელიავას, მათე ღვინიანიძეს ალტერნატივა უბრალოდ არ ჰყავთ. შესაძლო კონკურენტი? კი ბატონო. ნიჭიერი მომავალი თაობა? ესეც, მაგრამ დღეს ეს ბიჭები აშკარად საუკეთესონი არიან 21-წლამდელთა შორის.

რამდენიმე დღის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან ინტერვიუ შემოგთავაზეთ. სწორედ ქართული ფეხბურთის ნომერ პირველმა ჩინოსანმა გააჟღერა პირველად, რომ ახალგაზრდულ ნაკრებში 1984-85-86 წლებში დაბადებულთა თაობა ბრუნდება. მართალია ახალკაცი, როცა ამბობს, 19-წლამდელებს საკუთარი ამოცანა აქვთ გადასაჭრელი, მაისში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ელიტრაუნდში თამაში უწევთ და არ არის სასურველი, რამდენიმე ფრონტზე მათი დატვირთვაო. თუმცა ვერაფრით დავეთანხმებით მის მეორე მოსაზრებას: რამდენიმე თვის განმავლობაში ახალგაზრდულ ნაკრებში 1987-88-89 წლებში დაბადებულთა დაწინაურებამ თავისი შედეგი გამოიღო, მათზე ორი-სამი წლით უფროსებს დაანახა, რომ გუნდში ადგილის მოსაპოვებლად მეტი თავდადება მართებთ და ამან ბრძოლისუნარიანობა გაზარდაო. რა თქმა უნდა, ნაწილობრივ ასეცაა, მაგრამ ვფიქრობ, კლაუს ტოპმიოლერისა და რალფ მინგეს დღევანდელი ნაბიჯები გაიოზ დარსაძის შარშანდელი ნაბიჯების გასამართლებლად ვერ გამოდგება. უფრო პირიქით: მათი არჩევანი იმას ნიშნავს, შარშან სერიოზული შეცდომა დაგიშვიათ, მაგრამ იგივეს განმეორებას აღარ ვაპირებთო.

ამ შემთხვევაში ნაკლები მნიშვნელობა აქვს, თანხვდება თუ არა კონკრეტულ საკითხში ჩვენი და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მოსაზრებები. ნიშანდობლივი და მნიშვნელოვანიც სხვა რამეა: ახალგაზრდულ ნაკრებში წარმოებული საკადრო პოლიტიკით კლაუს ტოპმიოლერმა (ვამბობთ კლაუსს და ვგულისხმობთ მთელ მის გერმანულ შტაბს) მკაფიოდ დააფიქსირა: პროცესების ხელოვნურად დაჩქარება არ შეიძლება და ბიჭები, რომლებიც ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ეროვნული ნაკრების წევრებად ითვლებოდნენ, ახალგაზრდულისთვისაც კი მოუმზადებლად მიიჩნია.

ტოპმიოლერი პრაგმატიკოსია, ხვალინდელ ქათამზე ოცნებას დღევანდელი კვერცხი ურჩევნია, ანუ ის, რასაც მისგან ყველა ელის — ქვეყნის პრეზიდენტიდან დაწყებული და რიგითი ქომაგით დასრულებული. რაც შეეხება ხვალინდელ ქათამს, იმედია, ესეც იქნება, ოღონდ ჯერ ჰერბერტ ცანკერისა და ჰაინც ტოპმიოლერის „ბროილერი“ უნდა გამოიაროს.

ისეთი პირი უჩანს, გერმანელები შემადგენლობის შერჩევისას მართლაც დამოუკიდებელნი არიან. საკადრო პოლიტიკაში „ფედერაციული კვალი“ აღარ იგრძნობა და ბოლო პრესკონფერენციაზე კლაუს ტოპმიოლერის ნათქვამი — ფედერაციის ხელმძღვანელთა რჩევები და რეკომენდაციები მხოლოდ პირველ ეტაპზე, სიტუაციაში გარკვევამდე მჭირდებოდაო, მედიის გასაჩუმებლად გაკეთებული განცხადება არ ყოფილა.

მთავარიც ესაა. ხალხს, რომელიც საქართველოში არნახულად მასშტაბური (ფინანსურად) პროექტის განსახორციელებლად მოვიწვიეთ, მშვიდად და დამოუკიდებლად მუშაობის საშუალება უნდა მივცეთ. ჩვენ კი შეგვიძლია ვიკამათოთ, რადგან დანარჩენი მხოლოდ დეტალებია.

**გიორგი ნოზაძე**

# არის, მაგრამ არ არის

**ევროპის** 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კალენდართან დაკავშირებული ციებ-ცხელება დასრულდა. უეფამ უკვე აცნობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, რომ დამტკიცებულ კალენდარს ფაქსით ორშაბათს გამოაგზავნის. როგორც უკვე გაცნობეთ, მასში შეტანილია ცვლილება და ჯგუფურ ტურნირს 16 აგვისტოს ფარერები — საქართველოს დაპირისპირება გახსნის.

ჩვენმა თანაჯგუფელებმა არ გაითვალისწინეს უკრაინელთა თხოვნა იმავ ფარერებთან მატჩის თარიღის შეცვლის თაობაზე და მოსალოდნელი იყო, რომ უკრაინელები მორიგ ხმაურს ატეხდნენ. თუმცა, როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენმდივანმა უჩა უგულავამ გვითხრა, მათგან ჩამი-ჩუმიც არ ისმის — ჩანს, ბედს შეეგუვნენ.

უგულავას თქმითვე, უკვე მზადაა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში მალტელებთან სათამაშოდ გამოძახებული ფეხბურთელების სია. ხვალ გამთენიისას ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი რალფ მინგე და 19-წლამდელთა დამრიგებლად შეგულებული ჰაინც ტოპმიოლერი თბილისში ჩამოდიან. თავის რჩეულთა ვინაობას კი რალფ მინგე მედიას ორშაბათს გააცნობს.

იმავე რეისით თბილისში ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაციც ჩამოვა იმ გერმანელ სპეციალისტთა ოთხკაციან ჯგუფთან ერთად, რომლებიც ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქციაში მიიღებენ მონაწილეობას.



ბადრი ქეთილაძის ფოტო

„ეროვნულს“ ხელს გერმანელებიც შეავლებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბენეში ბლექბერნში წერტილისთვის ჩადის

„ბლექბერნ როვერსსა“ და ზურაბ ხიზანიშვილს შორის კონტრაქტის ხელმოწერა კი გაჭიანურდა, მაგრამ მომავალ კვირას ჩვენებურის აგენტი ივან ბენეში დანიიდან ერთხელაც ჩავა ბლექბერნში და ვინძლო საქმეს წერტილიც დაესვას.

ხიზანიშვილი კვლავაც „გლაზგო რეინჯერსის“ საკუთრებაა და ამ კლუბთან კონტრაქტი 2008 წლის ზაფხულში უმთავრდება. ზურა „ბლექბერნში“ განათხოვრებით თამაშობს და შევიტყვეთ, რომ „ბლექბერნსა“ და „რეინჯერსს“ შორის დადებულ საიჯარო ხელშეკრულებაში მითითებულია ის თანხა, რომელიც ხიზანიშვილის „ბლექბერნის“ საკუთრებაში გადასვლის შემთხვევაში იქნება გადასახდელი. ხიზანიშვილის ახლანდელი სატრანსფერო ფასი ამ საიჯარო ხელშეკრულებაში დაფიქსირებულზე ბევრად მეტია კია, მაგრამ „რეინჯერსს“ ალბათ არ ეგონა, ჩვენებური ინგლისურ პრემიერლიგაში ასე წარმატებით თუ ითამაშებდა.

**ნიკა ჯორჯაძე**

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის წამობრივი აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ქალაქის კოდი+აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

სიახლე ჯეოსელისგან ჭათ-მიქსი!

GEO *123#
ჭათ MIX მიქსი

აკრიფეთ
*123*9# YES
და
მომენტალურად
დაადგინეთ
მიმდინარე
საფეხბურთო
მატჩების ანგარიშები

SCORE LIVE

wap.geocell.com.ge



საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა
მეორე წრე

22 ტური ანონსში

# აბა, ხელოვნურზეც მნახეთ, ვინა ვარ



„ამერი“ და „ბათუმი“ დღევანდელ მატჩს სხვადასხვა განწყობით ხვდებიან

ანდრეი ჩერნიშოვის ხელში თბილისის „დინამოს“ პრინციპული მატჩი ჯერ არ მოუგია და ახლა მეექვსე ადგილზე მყოფ „ბორჯომთან“ შეხლაც ერთობ პრინციპული მნიშვნელობისაა თბილისელებისთვის.

პირველ წრეში ამ გუნდებს სხვა მწვრთნელები თავკაცობდნენ და მაშინ თბილისში „ბორჯომმა“ 2:1 მოუგო „დინამოს“. ისიც გავიხსენოთ, რომ წინა ტურში ბორჯომელებმა „ზესტაფონს“ ორი ქულა დააკარგვინეს. წინა ტურში ვერ მოიგო „დინამომაც“ და „ვიტ ჯორჯიასთან“ ფრის შემდეგ ბრაზმორეულმა ჩერნიშოვმა ნაადრევად და დემონსტრაცოულად დატოვა საპრესკონფერენციო დარბაზი. როცა მწვრთნელი წონასწორობას კარგავს, ეს კარგის მანიშნებელი არ უნდა იყოს. ჩერნიშოვი მსაჯობითაა უკმაყოფილო, მაგრამ ისიც საკითხავია, რარიგ კმაყოფილია ის საკუთარი გუნდის თამაშით.

ბორჯომში ხელოვნურსაფარიანი მოედანია და საკითხავია ისიც, თუ როგორ შეეგუება იქ თამაშს „დინამო“. როგორც უნდა იყოს, ობიექტურად „დინამო“ „ბორჯომზე“ ძლიერია, მაგრამ ეს უპირატესობა დიდი არ არის და დღეს ბორჯომში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. თქმა არ უნდა, „დინამოსთვის“ ფრეც წარუმატებლობა იქნება.

წინა ტურში გალიდერებული „სიონი“ კი ბოლოადგილოსან „თბილისს“ მასპინძლობს, მაგრამ ბოლნისელებს სიფრთხილე მართებთ — „თბილისი“ სახელიანი და გამოცდილი ფეხბურთელებით გაძლიერდა. გოჩა ხოჯავას გამჭოლი პასები და სწრაფი ფორვარდი ზაზა ზირაქიშვილი — თბილისელთა მთავარი იარაღი კონტრშეტევებისას ალბათ ეს უნდა იყოს. არა გვგონია, „სიონს“ იოლად მიეცეს რამე ამ შეხვედრაში — ორივე გუნდის მოტივაცია დიდია — „სიონი“ ჩემპიონობისთვის იბრძვის, „თბილისი“ არგავარდნისთვის და თითოეულ ქულას მისთვისაც ოქროს ფასი ადევს.

საინტერესოა მწვრთნელების, კახა ცხადაძისა და გოჩა ტყებუჩავას დუელიც.

ბოლო ტურებში მოვლენები ისე დატრიალდა, რომ მეორე წრისთვის მნიშვნელოვნად მოღონიერებულ „ბათუმს“ სამეულში შესვლის კარგი შანსი გაუჩნდა. დღეს ბათუმელების მასპინძელი „ამერია“, რომელმაც წინა ტურში მოულოდნელი მარცხი იწვნია „ცხინვალთან“. ჰოდა, დღეს გლდანში მწველი თამაში უნდა იყოს. „ამერს“ ისეთი ზნე დასჩემდა, რომ შედარებით სუსტ მეტოქეებთან თამაში უჭირს, ხოლო ძლიერებთან უფრო მობილიზებული და კონცენტრირებულია.

ლიდერობა დაკარგა „ვიტ ჯორჯიამ“, მაგრამ წინა ტურში „დინამოსთან“ თამაშით ერთხელაც დაგვანახა, რომ ჩემპიონობის კვლავაც ძალიან რეალური კანდიდატია. თუ „დინამოსთან“ ძნელი თამაშის შემდეგ ვიტელებმა ძალების სრულად აღდგენა მოახერხეს, დღეს „ცხინვალის“ დამარცხება დიდად არ უნდა გაუჭირდეთ. „ვიტ ჯორჯია“ კვლავაც მოიკოჭლებს გოლის გატანაში, მისმა ფორვარდებმა ვერა და ვერ გატეხეს ნავსი და ამის გაკეთებას დღეს ერთხელაც ეცდებიან.

ფეხბურთელები გადაღლილები არიანო, დაიჩივლა წინა ტურის „ზესტაფონ“ — „ბორჯომის“ შემდეგ ფეროელთა დამრიგებელმა თემურ მახარაძემ. მართლაც, მეორე წრის კალენდარი ისეთია, თუ გუნდს კარგი ვიტამინიზაცია და აღდგენითი პროცესი არ აქვს, გადაღლა არ ასცდება. მაგრამ „ზესტაფონს“ რამდენიმე ისეთი მოთამაშე ჰყავს, კლასის ხარჯზე ბევრი რამის გაბათილება რომ შეუძლია და ვფიქრობთ, „სპარტაკთან“ მატჩში ფავორიტი სწორედ იმერული კლუბია.

ტურის დანარჩენი სამი მატჩი მხოლოდ არგავარდნისთვის მებრძოლ გუნდთათვის არის აქტუალური, თუმც საინტერესო ამბებს ამ შერკინებებისგანაც ველით.

**დავით თავართქილაძე**

ბორჯომი. 1 აპრილი. 16 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი

## ბორჯომი — დინამო

მსაჯები: ლ. სილაგავა; ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე; ვ. ელისაბედაშვილი;
დამკვირვებელი: ს. კოტრიკაძე

თბილისი. 1 აპრილი. 16 საათი. ამერი

## ამერი — ბათუმი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; გ. ცირდავა, მ. ელიკაშვილი; მ. ბეუქლიშვილი;
დამკვირვებელი: ნ. კაკულია

გორი. 1 აპრილი. 16 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

## დილა — კოლხეთი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ლ. მიქელაძე, გ. დოგრაშვილი; ა. ორდინიძე;
დამკვირვებელი: ო. რუხაძე

ქუთაისი. 1 აპრილი. 16 საათი. ტორპედო

## ტორპედო — კახეთი

მსაჯები: დ. სანაია; გ. ჩიგოგიძე, ბ. ქიჭინაძე; ჯ. ბუიშვილი;
დამკვირვებელი: ზ. პეტრიაშვილი

თბილისი. 1 აპრილი. 16 საათი. შევარდენი

## სპარტაკი — ზესტაფონი

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; ნ. რუსიშვილი, ვ. გუმბერიძე; დ. ხარიტონაშვილი;
დამკვირვებელი: დ. მენთეშაშვილი

მცხეთა. 1 აპრილი. 16 საათი. არმაზი

## ვიტ ჯორჯია — ცხინვალი

მსაჯები: ო. ხეცაძე; კ. გაბრიაძე, ზ. გურგენაძე; მ. მაისურაძე;
დამკვირვებელი: ს. კუტივაძე

ბოლნისი. 1 აპრილი. 16 საათი. თამაზ სტეფანია

## სიონი — თბილისი

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, თ. ხუჭუა; ლ. კვარაცხელია;
დამკვირვებელი: ტ. ნიშნიანიძე

თბილისი. 2 აპრილი. 16 საათი. შევარდენი

## სოხუმი — ლოკომოტივი

მსაჯები: ა. ნონიკაშვილი; ი. ურუშაძე, ზ. ასკაროღლი; გ. ვადაჭკორია;
დამკვირვებელი: ე. სილაგავა

### დისკვალიფიცირებულები

სპარტაკი — თორნიკე ელიზბარაშვილი

დინამო — ლადო ბურდული

ვიტ ჯორჯია — ნიკა გელაშვილი, დავით იმედაშვილი, ოლეგ გუელესიანი

სოხუმი — თემურ გადელია, კახა ჯინჭარაძე, გიორგი ხაჩიძე

ლოკომოტივი — გიორგი კახელიშვილი

ცხინვალი — დავით ეჯოშვილი, გიორგი ლომიძე, გივი ქართუზაშვილი

ბორჯომი — გივი ჩხეტიანი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 21 | 16 | 3 | 2 | 40:15 | 51 |
| ვიტ ჯორჯია | 21 | 15 | 4 | 2 | 40:12 | 49 |
| დინამო | 21 | 13 | 4 | 4 | 34:13 | 43 |
| ამერი | 21 | 13 | 2 | 6 | 27:14 | 41 |
| ზესტაფონი | 21 | 12 | 5 | 4 | 28:16 | 41 |
| ბორჯომი | 21 | 12 | 2 | 7 | 34:17 | 38 |
| ბათუმი | 21 | 11 | 5 | 5 | 28:16 | 38 |
| ლოკომოტივი | 21 | 10 | 4 | 7 | 31:23 | 34 |
| კოლხეთი | 21 | 8 | 4 | 9 | 20:22 | 28 |
| კახეთი | 21 | 7 | 2 | 12 | 20:29 | 23 |
| ცხინვალი | 21 | 6 | 3 | 12 | 19:38 | 21 |
| ტორპედო | 21 | 5 | 6 | 10 | 17:26 | 21 |
| დილა | 21 | 5 | 3 | 13 | 22:31 | 18 |
| სოხუმი | 21 | 3 | 2 | 16 | 17:48 | 11 |
| სპარტაკი | 21 | 2 | 5 | 14 | 4:34 | 11 |
| თბილისი | 21 | 2 | 2 | 17 | 12:39 | 8 |

## ანდრეი ჩერნიშოვი:

# ბოდიში და არ წავალ

*„დინამო“ — „ვიტ ჯორჯია“ წინა ტურის მთავარი მატჩი ხომ იყო და ამასთან, ეს შეხვედრა შეიძლებოდა, საჩემპიონო ბრძოლაში ორივე გუნდისთვის ფატალური შედეგითაც დამთავრებულიყო. ფრე 0:0 კი არც „ვიტ ჯორჯიას“, მით უმეტეს, არც „დინამოს“ სურდა. თუმც საჩემპიონოდ ორივე გუნდი ისევ იბრძვის.*

*ამ თამაშის შემდეგ კი „დინამოს“ თავკაცი ანდრეი ჩერნიშოვი აღშფოთებული დარჩა და საქმე იქამდეც მივიდა, რომ მსაჯობით ძლიან გაღიზიანებულმა მწვრთნელმა ნამატჩევს საპრესკონფერენციო დარბაზი დემონსტრატიულად დატოვა და ერთი-ორი მკვახე სიტყვა ჟურნალისტების მისამართითაც თქვა...*

— პირველ ყოვლისა, დიდი ბოდიში ჟურნალისტებს. ნერვები ვერ მოვთოკე და ემოციამ იძალა — ცივი გონებით გვითხრა გუშინ ჩერნიშოვმა — იცოდეთ, რომ ანდრეი ჩერნიშოვი ჟურნალისტებისგან თავის არიდებას სამარცხვინო ანგარიშებით წაგების შემდეგაც კი არ ფიქრობს. ეს არაა ჩემი ჩვევა. მიშინ მსაჯობით ვიყავი აღშფოთებული და გთხოვთ, ნუ იფიქრებთ, რომ ჟურნალისტების მიმართ უპატივცემულოდ მოვიქეცი.

**— გასაგებია, რომ „ვიტ ჯორჯიასთან“ მსაჯობით უკმაყოფილო დარჩით. ნუთუ ის 0:0 მთლად მსაჯების სინდისზეა და ფიქრობთ, რომ ამ საქმეში უშეცდომო ხართ?**

— პასუხისმგებლობას არასდროს გავურბივარ. თუმცა არსებობს ობიექტური მიზეზები, რის წინაშეც მწვრთნელი უძლურია — ამ შემთხვევაში მსაჯობას ვგულისხმობ. მაგალითად, „ზესტაფონთან“ სათასო მატჩის შემდეგ შეცდომებისთვის მსაჯი დაისაჯა.

**— როცა საქართველოში, „დინამოში“ სამუშაოდ მოდიოდით, ფიქრობდით, რომ ასეთი დონის ჩემპიონატი გელოდათ?**

— იცით, სასიამოვნოდ გაკვირვებული დავრჩი. უნდა ვაღიარო, რომ გაცილებით დაბალი დონის მეგონა საქართველოს ჩემპიონატი. ვერ წარმოვიდგენდი, რომ აქ ამდენი ნიჭიერი და პერსპექტიული ფეხბურთელი ითამაშებდა. ოთხი-ხუთი გუნდი კი საკმაოდ ორგანიზებულად თამაშობს, რაც ჩემთვის ასევე მოულოდნელი იყო.

**— ერთიც: სეზონის დამთავრების შემდეგ წასვლას ხომ არ აპირებთ?**

— იმ მწვრთნელთა კატეგორიას არ მივეკუთვნები, რომლებსაც სიძნელეები აშინებთ და გარბიან. „დინამოში“ მუშაობა გამოწვევად მივიღე და აქედან მაშინ წავალ, როცა გუნდი ჩემპიონი გახდება, თანაც ისეთ ფეხბურთს ითამაშებს, ყველა ქომაგს რომ გაახარებს. ეს ყველაფერი კი მალე იქნება.



**კობა ინასარიძე**

# ფანჯრიდან ბოლოს აფციაური გადავიდა

** გუშინ** 31 მარტი იყო, გიჟურმა მარტმა გადაიარა და ქართულ კლუბებში სეზონის ბოლომდე სატრანსფერო ვადაც ამოიწურა. ბოლო კვირაში რამდენიმე საინტერესო მიდი-მოდი მოხდა, ჰოდა, ამ ყველაფრის ჩამონათვალს გთავაზობთ:

**თბილისი**

თეიმურაზ ბურნაძე (უგუნდო)
თორნიკე აფციაური (ბორჯომი)
გოჩა ხოჯავა (როსტოვი)
ზაზა ზირაქიშვილი (უგუნდო)
მიხეილ ბესარაშვილი (ზესტაფონი)
არჩილ სახვაძე (უგუნდო)

**ტორპედო**

სერგო ჭურაძე (უგუნდო)
დავით გამეზარდაშვილი (სკონტო, ლატვია)
ლევან კორლალიძე (სკონტო, ლატვია)
გიორგი ყიფიანი (უგუნდო)
დავით ჩილვინაძე (უგუნდო)

**სპარტაკი**

კობა შალამბერიძე (ტორპედო)
ლაშა ჯანგიძე (ბორჯომი)

**ბათუმი**

ლევან გვაზავა (ალანია, რუსეთი)

**დილა**

ბესიკ ხაჭაპურიძე (თბილისი)
ზაზა ჭელიძე (ტორპედო 2)
ირაკლი კუტალია (გაგრა)
ლაშა კობახიძე (გაგრა)
გიორგი ლაცაბიძე (მეშაქრე)
ალექსანდრე ლაბაძე (მეშაქრე)

როგორც ხედავთ, გუშინ გორის „დილამ" იაქტიურა ძალიან. ქართლელებმა ექვსი ახალი ფეხბურთელი დაიმატეს.

ყველაზე საინტერესო კი თორნიკე აფციაურის „ბორჯომიდან" „თბილისში" დაბრუნებაა. აფციაური ბორჯომელებთან განათხოვრებით თამაშობდა და ახლა ყოფილ კლუბს უნდა დაეხმაროს — თბილისელები ბოლო ადგილზე არიან და თითოეულ ქულაზე მშიერი მგლებივით იბრძვიან.

**ილია ნანობაშვილი**



გურამ წიბახაშვილის ფოტო

თორნიკე აფციაური „თბილისში" დაბრუნდა

# ქვარაცხელიას ხუთპუნქტიანი შეტევა



გურამ წიბახაშვილის ფოტო

ერთ დროს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის უფროსმა მამუკა კვარაცხელიამ, ვინც უკვე რახანია, ფედერაციის ამჟამინდელ პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს დაუპირისპირდა, გუშინ ჭადრაკის სასახლეში კიდევ ერთი პრესკონფერენცია გამართა და, რა თქმა უნდა, ისევ ახალკაცსა და მის საქმიანობაზე ილაპარაკა...

— ადრე თუ ვამბობდი, რომ ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი არის უვიცი და მატყუარა, ახლა ხმამაღლა ვამბობ, რომ ის არის ქართული ფეხბურთის ნომერი პირველი მტერი — განაცხადა მამუკა კვარაცხელიამ და შემდეგ უფრო დააკონკრეტა...

**ეროვნული გუნდი**

— ნოდარ ახალკაცმა შეგნებულად დაანგრია საქართველოს ნაკრები. მან თავის დროზე ნაკრების მწვრთნელი ალენ ჟირესი იმიტომ გაათავისუფლა, რომ ის ახალკაცის მოთხოვნას, ნაკრებში აწ უკვე „ზესტაფონის" ფეხბურთელები ათამაშეო, არ დათანხმდა. შემდეგ კი, ილია კოკაიას მითითებით, ეროვნული გუნდი ჩააბარა გაიოზ დარსაძეს, ვინც „ზესტაფონისა" და „ზესტაფონი 2"-ის, ასევე ყველა ასაკობრივი ნაკრების ფაქტობრივი მწვრთნელი იყო. შედეგიც მალე ვნახეთ, უფრო სწორად, ვნახეთ კატასტროფა — ნაკრებმა ორ მატჩში 12 გოლი გაუშვა, რაც არნახულად ცუდი შედეგია. ახალკაცმა იცრუა, როცა თქვა, რომ გიორგი განუგრავამ ფეხი არ გაანძრევინა დანიელ გრავესენს. ახალკაც-კოკაია-დარსაძის ტრიო ნაკრებში იწვევდა რატი წინამძღვრიშვილს, ვისაც უმაღლეს ლიგაში ათი მატჩიც არ უთამაშია. ახლა, როცა ვლაპარაკობ, ახალკაცი ავსტრიაშია და მორიგ მითითებებს იღებს ილია კოკაიასგან. სწორედ კოკაიას თანაშემწეა ახალკაცი. იგი ცრუობდა, როცა ამბობდა, რომ საქართველოს ნაკრები არ არის მზად უცხოელი მწვრთნელისთვის. კლაუს ტოპმიოლერი კი საქართველოში ხელისუფლებამ ჩამოიყვანა და ნაკრებს დარსაძე მოაშორა.

**ეროვნული ჩემპიონატი**

— ახალკაცმა შეგნებულად დაშალა ეროვნული ჩემპიონატის სტრუქტურა და უმაღლესი ლიგა 16 გუნდამდე გაზარდა. არადა, 10-გუნდიანი ჩემპიონატი საქართველოსთვის ზედგამოჭრილი იყო. რაოდენობა კი იმიტომ გაზარდა, რომ „ზესტაფონის" ჭაბუკებს თამაშის მეტი პრაქტიკა ჰქონოდათ და უმაქნის გუნდებთან ეს ფეხბურთელები წარმოჩენილიყვნენ. შთაბეჭდილება მრჩება, რომ ფედერაცია ლობირებს „ზესტაფონს" და თუ გაიხსენებთ, თითქმის ყველა ბოლოდროინდელი სკანდალური ამბავი სწორედ ფედერაცია-„ზესტაფონის" ურთიერთობას უკავშირდება. ვიდრე ახალკაცს ფედერაციის პრეზიდენტად დანიშნავდნენ, მთელი საქართველო მოატარეს. ახალკაცმა თავად ნახა, რა გაჭირვება იყო რეგიონებში, ამის მიუხედავად ლიგა 16 გუნდამდე გაზარდა.

**ბავშვთა ფეხბურთი**

— სრული ქაოსი და უწესრიგობაა დღეს ბავშვთა ფეხბურთში. წელიწადში რვა თვე ბავშვები, ფაქტობრივად, უქმად არიან, რადგანაც მათი ჩემპიონატები სულ ოთხ თვეს გრძელდება. ჭაბუკებზე არის ფსიქოლოგიური ზეწოლა, თუ ისინი „ზესტაფონი 2"-ში არ ითამაშებენ, საქართველოს ნაკრებს ვერ ეღირსებიან. კლაუს ტოპმიოლერს კი მალტის ტურნირისთვის 35-კაციანი სია მიაწოდეს და ეს მწვრთნელი ჩემპიონატის მატჩებსაც არ დაასწრეს, პარაგვაიში ამხანაგურ მატჩზე მოსალაპარაკებლად გაამგზავრეს. უმაღლესი ლიგის თითოეულ კლუბს ბავშვთა ლიგებში სამი გუნდი უნდა ჰყავდეს და მათ უეფა აფინანსებს. ხოლო იმის გამო, რომ „ზესტაფონს" 1987 წელს დაბადებულთა გუნდი ბავშვთა ლიგაში არ ჰყავდა, ეს ასაკი საერთოდ გააუქმეს.

**ვეტერანები**

— ახალკაცმა პრეზიდენტად მოსვლის დღიდან ბრძოლა გამოუცხადა ვეტერანებს, არადა, მთელ მსოფლიოში მათ განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობიან. ახალკაცმა ფედერაციიდან გაათავისუფლა ალექსანდრე ჩივაძე და მურთაზ ხურცილავა, ანატოლი მილჩენკო კი ჯერ ფედერაციის სამსაჯო კომიტეტს ჩამოაშორა და ახლახან მსაჯთა აკადემიის რექტორის პოსტიც დაატოვებინა. დარასელიას, მეტრეველისა და მესხის სახელობის ბავშვთა ლიგებს კი ამ ფეხბურთელების სახელები მოაშორა.

**ფინანსები**

— ფედერაცია საზოგადოებრივი ორგანიზაციაა და არც ერთი ინფორმაცია, მით უმეტეს, ფინანსური, გასაიდუმლოებული არ უნდა იყოს. ჩემი მონაცემებით, ფედერაციას ფიფა-უეფას გრანტებითა და სპონსორებისგან დღემდე დაახლოებით ორი მილიონ სამასი ათასი დოლარი უნდა მიეღო. ამ წლის ბოლომდე კი კიდევ მილიონ ორასი ათასი დოლარია ფედერაციისთვის გათვალისწინებული. ამ თანხების დიდი ნაწილი მიზნობრივია და რეგიონული ფედერაციებისთვის ოფისების მშენებლობასა და იქვე მინი-მოედნების მოწყობას უნდა მოხმარდეს. ოფისი და მოედანი დღემდე მხოლოდ მცხეთა-მთიანეთის რეგიონულ ფედერაციას აქვს. იქ პრეზიდენტი ვლადიმერ გუცაევია და მას ვერ გაუბედეს, ეს თანხა დაეკავებინათ.

შიდა ქართლის ფედერაციის პრეზიდენტი გია რევაზიშვილი კი ამ თანხის გამოყოფას დღემდე უშედეგოდ ითხოვს. ხმა როგორ ამოიღეო და, ახლა ახალკაცი რევაზიშვილს აიძულებს, პოსტი დატოვოს. არადა, მისი საპრეზიდენტო ვადა 2008 წლამდეა. მაინტერესებს, ფედერაციას ფიფა-უეფას ეს თანხები თუ მიღებული აქვს, ოფისები და მოედნები რატომ არ შენდება და თუ თანხა მიღებული არ აქვს, რატომ?

**და ბოლოს**

— ნოდარ ახალკაცის პრეზიდენტობის ყოველი დღე ქართული ფეხბურთისთვის უკან გადადგმული ნაბიჯია. მსურს, რომ ის დაფიქრდეს, რას აკეთებს. თავად კი არ გავჩუმდები და ახალკაცს ყოველთვის ვამხელ ქართული ფეხბურთისთვის საზიანო საქმიანობაში.

**კობა ინასარიძე**

# გამოცხადდით!

გეცოდინებათ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და ეზოს ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივით დაიწყო „პეპსის თასი 2006". მასში თბილისის საშუალო სკოლის გუნდები მონაწილეობენ და საკვირველია, რომ პირველ ტურში ბევრი სკოლა სათამაშოდ არ გამოცხადდა — დავიჯეროთ, ასეთი უინტერესო პროექტია? ამაზე უკეთესი სკოლის მოსწავლეებისთვის რა უნდა იყოს...

შეგახსენებთ, ჯერ „პეპსის თასის" ჯგუფური ეტაპია — ათი საუკეთესო გუნდი კი ფინალურ ეტაპზე იბრძოლებს ჩემპიონობისთვის.

**პეპსის თასი 2006**

25-26 მარტი

**ვაკე**

A ჯგუფი
54-ე სკოლა — 55-ე სკოლა 0:6; 56-ე — 57-ე 2:8
B ჯგუფი
135-ე — 137-ე 2:5; 151-ე — 165-ე 0:3
C ჯგუფი
170-ე — 171-ე 1:3; 199-ე — 102-ე 0:3 (ტმ)
E ჯგუფი
101-ე — 122-ე 3:0 (ტმ); 125-ე — 128-ე 3:0 (ტმ);
101-ე — 125-ე 3:0 (ტმ); 126-ე — 128-ე 6:1

**ნაძალადევი**

F ჯგუფი
მე-14 — მე-15 1:10; 114-ე — 141-ე 0:3 (ტმ);
მე-14 — 144-ე 4:1; 133-ე — 141-ე 3:4
G ჯგუფი
143-ე — 148-ე 9:1; 149-ე — 159-ე 2:3;
143-ე — 149-ე 3:4; 154-ე — 159-ე 0:3 (ტმ)

**დიდუბე**

C ჯგუფი
130-ე — 134-ე 8:0; 140-ე — 169-ე 0:3;
130-ე — 140-ე 6:0; 147-ე — 169-ე 1:2
D ჯგუფი
22-ე — 24-ე 12:1; 27-ე — 63-ე 1:5;
22-ე — 27-ე 4:0; 150-ე — 63-ე 0:3 (ტმ)

**გლდანი**

A ჯგუფი
მე-16 — 45-ე 0:3
B ჯგუფი
118-ე — 119-ე 1:1
C ჯგუფი
39-ე — 59-ე 9:0
D ჯგუფი
71-ე — 115-ე 0:4
E ჯგუფი
160-ე — 167-ე 5:0
F ჯგუფი
117-ე — 184-ე 3:0 (ტმ); მე-200 — 208-ე 0:3 (ტმ)
G ჯგუფი
79-ე — 174-ე 0:3 (ტმ), 175-ე — 181-ე 3:3

**ისანი**

A ჯგუფი
77-ე — 86-ე 8:1
B ჯგუფი
89-ე — 93-ე 9:0
C ჯგუფი
74-ე — 87-ე 1:10
D ჯგუფი
81-ე — 85-ე 0:5; 95-ე — 97-ე 0:7
E ჯგუფი
მე-40 — 90-ე 3:3; 92-ე — 121-ე 0:3 (ტმ)
F ჯგუფი
139-ე — 157-ე 4:3; 163-ე — 172-ე 1:3
G ჯგუფი
91-ე — 96-ე 0:3 (ტმ); 98-ე — 99-ე 2:12
H ჯგუფი
103-ე — 110-ე 7:3;
188-ე — 202-ე გუნდები არ გამოცხადდნენ

**სამგორი**

C ჯგუფი
82-ე — 83-ე 7:5; 94-ე — 131-ე 7:1
D ჯგუფი
108-ე — 109-ე 1:4; 117-ე — 184-ე 3:0 (ტმ)
E ჯგუფი
105-ე — 76-ე 8:5; 107-ე — 168-ე 7:2
F ჯგუფი
145-ე — 146-ე 7:0; 176-ე — 182-ე 1:2

*ტმ — ტექნიკური მოგება*

# ესპანეთი

# ელკლასიკური კონტრ-ები





## არჩევნობა თუ სიფრთხილე? ზიდანით თუ უზიდანოდ? სკამი თუ ყულფი? ეტოო თუ კასილიასი?

## El ClasiCo





| | |
|---|---|
| ვალდესი | კასილიასი |
| ბელეტი | სისინიო |
| პუიოლი | სერხიო რამოსი |
| ოლეგერი | რაულ ბრავო |
| ვან ბრონკჰორსტი | რობერტო კარლოსი |
| მოტა | გუტი |
| ვან ბომელი | ბაპტისტა |
| დეკო | ბექემი |
| ჟიული | ზიდანი |
| ეტოო | რობინიო |
| რონალდინიო | რონალდო |




„ბარსა“ — „რეალის“ დღევანდელ ჯახზე საუბარი იმით დავიწყოთ, რომ „ელ კლასიკო“ შეიძლება... საერთოდ არც ჩატარდეს. ესპანელი მსაჯები გაფიცვას აგრძელებენ (ფეხბურთის ფედერაციას მათი ვალი აქვს) და თუ ფედერაციამ დროზე რაიმე არ იღონა, 1 აპრილს არც „ბარსელონა“ — „რეალი“ გაიმართება და არც პრიმერას და სეგუნდას სხვა დარჩენილი შეხვედრები. თუმცა, უკმაყოფილო არბიტრები სავარაუდოდ შაბათს, „ელ კლასიკოს“ დღეს დაშოშმინდებიანო, წერს ესპანური მედია.

კატალონიურ-კასტილიური ჯახის ეშხი დიდი ხანია, პირენეებს გასცდა და შაბათსაც საფეხბურთო მსოფლიოს გასწვდება. „კამპ ნოუზე“ კი „ელ კლასიკო“ 76-ედ ჩატარდება. „ბარსა“ „რეალს“ 11 ქულით სჯობნის და მასპინძელთა განწყობაც, ცხადია, უფრო ოპტიმისტურია. კატალონიური სპორტული მედიაც რაღაცნაირად უდარდელი ჩანს — „ელ მუნდო დეპორტივომ“ „ბარსელონას“ მწვრთნელ ფრანკ რაიკარდს ისიც კი ჰკითხა, შეხვედრის მოგებას სამი თუ ხუთბურთიანი სხვაობით აპირებთო. „რეალთან“ მატჩის წინ ასეთ რამეებზე არასოდეს ვსაუბრობ. ეს მეტოქის შეურაცხყოფაა და სხვა არაფერი. თან, თავიდანვე 5:0-ზე ფიქრი რომ დავიწყოთ, ეგებ დავზარალდეთ კიდევაც. მთავარია, „მალაგასთან“ იქნება თუ „რეალთან“, შენი საქმე კარგად გააკეთო“ — უპასუხა ჰოლანდიელმა. შეგახსენებთ, რომ რაიკარდის ბიჭებმა საამსეზონო პირველი „ელ კლასიკო“ მადრიდში 3:0 მოიგეს და ბარსელონური გაზეთებიც იმიტომ არიან დიდ გულზე. თუმცა, არა მხოლოდ „სანტიაგო ბერნაბეუს“ შედეგის გამოა ეს მხიარული აჟიოტაჟი. „რეალმა“ წინა ტურში „დეპორტივო“ 4:0 კი გაანადგურა, მაგრამ ცხადზე ცხადია, საპრეზიდენტო ცვლილებებით და „შიდაგალაქტიკური ომებით“ არეული მადრიდული გრანდი დღეს უწინდელივით მრისხანე ველარ არის.

„კამპ ნოუზე“ ალბათ გუტი ვერ იბურთავებს — „რეალის“ ნახევარმცველმა ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და მისი ამბავი საეჭვოა. თუ დროულად ვერ მოუხერხდა გამოჯანმრთელება, ძირითადში გუნდის კაპიტანს, თითქმის ტრავმამორჩენილ რაულს ვიხილავთ. მწვრთნელი ლოპეს კარო ზიდანს დააყენებს გუტის ადგილას და რაულიც თავდასხმაში რონალდოს შეუამხანაგდება. ზიზუ ვახსენეთ და, ისიც ვთქვათ, რომ შესაძლოა, 2006-ის პირველი აპრილის „ელ კლასიკო“ ფრანგისთვის უკანასკნელი იყოს — ზიდანი, ესპანური გაზეთების ცნობით, მომავალ სეზონში „რეალიდან“ (ან სულაც ფეხბურთიდან) მიდის...

„ზიდანი უდიდესი ძალაა ჩვენთვის. იგი „კამპ ნოუზე“ თავისას კიდევ დაამტკიცებს“ — თქვა ლოპეს კარომ, რომელსაც, როგორც ამბობენ, დღეებს უთვლიან და „ბარსელონასთან“ დიდი ანგარიშით წაგების შემთხვევაში „რეალის“ პრეზიდენტი მარტინი დათხოვნით ემუქრება. ხსენებულმა „ელმუნდო დეპორტივომ“, „ბარსაზე“ გულშემკვდარმა გაზეთმა, იანგლა და ლოპეს კაროს კარიკატურა გამოჭიმა — მწვრთნელს სავარძელზე თავი უშველებელი ჯაჭვით მიუბამს და ხალისიანად აცხადებს — ზომები უკვე მივიღე, „ბარსასთან“ რაც უნდა მოხდეს,



პრეზიდენტი ფერნანდო მარტინი „რეალის“ დამრიგებლის სკამიდან ვერ გადმომაგდებსო...

დევიდ ბექემს მუხლი სტკივა, ოღონდ „ელ კლასიკოს“ მაინც არ გამოტოვებს. „დეპორტივოსთან“ მატჩის მერე მუხლი მაწუხებს, თუმცა „ბარსასთან“ ეს ხელს ვერ შემიშლის — თქვა ალბიონელმა ვარსკვლავმა. „რეალის“ ბრაზილიელები კი ჯანზე არიან და რობერტო კარლოსმა, სისინიომ, ბაპტისტამ, რობინიომ და რონალდომ ვინძლო ბევრჯერაც გაუხეთქონ გულები „კამპ ნოუს“ ქომაგთ.

„ბარსელონას“ რაფა მარკესი და ედმილსონი ჰყავს დამტვრეული, კარლეს პუიოლმა კი სანქცია მოიხადა და თამაშს შეძლებს. „რეალთან“ ტიაგო მოტა იქნება ალბათ პუიოლის გვერდზე ცენტრალურ მცველად. სხვა იძულებით და ნებაყოფლობით ცვლილებებზე ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, ერთხელაც ვახსენოთ მადრიდული „ასის“ მიერ „მისტერ ყოვლისშემძლედ“ მონათლული ფრანკ რაიკარდი. იგი კი, თურმე, „ყოვლისშემძლე“ იმიტომაა, რომ ძალაც აქვს (პუიოლი და მოტა), სისწრაფეც (სილვინიო და ოლეგერი), დაუღლელია (ვან ბომელი), ფანტაზიის ნაკლებობას არ უჩივის (ინიესტა და დეკუ) და გოლზეა დაგეშილი (ჟიული, ეტოო და რონალდინიო). მეკარე ვალდესიც სუსტ წერტილად ვერ ჩაითვლება...

მადრიდში ყველაზე მეტად სამუელ ეტოოს გოლების ეშინიათ. რაც ბარსელონელი გახდა, ეტოომ სამ „ელ კლასიკოში“ გაუტანა თავის ყოფილ გუნდს. საქმე იქამდე მივიდა, რომ კამერუნელის მეგობარი იკერ კასილიასი ეტოოს ურეკავს და... „მითხრა, ასე უნამუსოდ სადამდე უნდა მომექცე, ჩემს კარში ყოველთვის გოლი გაგაქვს“ — ღიმილით აუწყა აფრიკელმა ფორვარდმა ჟურნალისტებს. „რეალის“ და ესპანეთის ნაკრების მეკარე კი ეტოოს ტყუილად როდი „ანამუსებს“, სამუელს „რეალთან“ 15 მატჩში 10 გოლი შეუგდია...

**ლადო ხომერიკი**

| XXXI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბარსელონა | : | რეალი |
| სოსიედადი | : | მალაგა |
| სარაგოსა | : | ვილიარეალი |
| **ხვალ** | | |
| ვალენსია | : | კადისი |
| ბეტისი | : | სევილია |
| დეპორტივო | : | რასინგი |
| ალავესი | : | ბილბაო |
| მალიორკა | : | ესპანიოლი |
| ატლეტიკო | : | სელტა |
| ოსასუნა | : | ხეტაფე |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | ■ | | 3:0 | 2:2 | 2:1 | 2:0 | 3:2 | | 1:3 | 2:2 | 3:1 | | 2:1 | 4:1 | 5:1 | 2:0 | 2:0 | 5:0 | | 2:0 |
| 2 | რეალი | 0:3 | ■ | 1:1 | 1:2 | 4:2 | 2:3 | 4:0 | | 2:1 | 1:0 | 1:0 | 4:0 | 3:1 | 1:2 | 0:0 | 4:0 | 3:0 | | 3:1 | |
| 3 | ოსასუნა | 2:1 | | ■ | | 1:0 | 2:0 | 1:2 | 2:1 | 2:1 | 1:1 | | 2:0 | 3:2 | 1:1 | 0:2 | 1:0 | 3:2 | 2:0 | 2:0 | |
| 4 | ვალენსია | 1:0 | 0:0 | 2:0 | ■ | 0:2 | 2:0 | 2:2 | 1:1 | | 2:2 | 1:1 | | 1:1 | 1:1 | 1:0 | 3:0 | | 2:1 | | 2:1 |
| 5 | სევილია | | | 0:1 | 1:0 | ■ | 1:0 | 0:2 | 2:0 | 0:0 | | | 1:1 | 2:1 | 1:0 | 1:0 | 1:1 | 2:0 | 3:2 | 0:0 | 3:1 |
| 6 | სელტა | | 1:2 | 2:0 | | 2:1 | ■ | 0:3 | 1:0 | 2:1 | | | 1:0 | 0:1 | 0:1 | 2:1 | 2:0 | 2:1 | 1:0 | 2:0 | 2:0 |
| 7 | დეპორტივო | 3:3 | 3:1 | 0:1 | 0:1 | | | ■ | 0:2 | 1:0 | 1:1 | 1:0 | 1:2 | | | 1:1 | 2:2 | 0:2 | 0:1 | 1:0 | 2:1 |
| 8 | ვილიარეალი | 0:2 | 0:0 | 2:1 | 1:0 | 1:1 | 1:2 | | ■ | 1:1 | 0:0 | 2:1 | 4:0 | 3:1 | | 1:2 | 3:0 | 3:2 | | 1:1 | |
| 9 | ატლეტიკო | 2:1 | 0:3 | | 0:0 | 0:1 | | 3:2 | 1:1 | ■ | 0:0 | 0:1 | 1:1 | | 2:1 | | | 1:1 | 1:0 | 3:0 | 5:0 |
| 10 | სარაგოსა | 0:2 | 1:1 | 3:1 | 2:2 | 0:2 | 1:0 | 1:1 | | 0:2 | ■ | 1:2 | | 3:2 | 1:1 | 4:3 | 3:1 | | 0:1 | | 1:1 |
| 11 | ხეტაფე | 1:3 | | 0:0 | 2:1 | 1:0 | 1:1 | 1:2 | | 0:3 | 5:2 | ■ | 5:0 | 1:1 | 1:2 | 1:0 | 1:1 | 2:2 | 2:1 | | 3:2 |
| 12 | ესპანიოლი | 1:2 | 1:0 | 2:4 | 1:3 | 5:0 | 2:0 | | 1:2 | | 2:2 | 0:2 | ■ | 1:1 | 0:2 | | 2:0 | 2:1 | | 0:2 | 3:1 |
| 13 | ბილბაო | | 0:2 | 1:0 | | 0:1 | 1:1 | 1:2 | 1:1 | 1:1 | | 1:0 | 1:1 | ■ | 0:0 | 2:0 | | 0:2 | 3:0 | 1:0 | 1:2 |
| 14 | რასინგი | | | | 2:1 | 2:3 | 0:1 | 0:3 | 1:0 | 0:1 | 0:0 | | 1:0 | 0:1 | ■ | 1:1 | 0:0 | 1:2 | 2:2 | 0:1 | 1:1 |
| 15 | ბეტისი | 1:4 | 0:2 | 1:0 | 0:2 | | | 0:1 | 2:3 | 1:0 | 0:0 | 1:0 | 0:0 | | 1:0 | ■ | | 3:0 | 2:0 | 1:1 | 1:1 |
| 16 | მალიორკა | 0:3 | 2:1 | | | 1:1 | 1:0 | 0:1 | 1:1 | 2:2 | | 1:1 | | 0:1 | 0:0 | 1:1 | ■ | | 5:2 | 1:0 | 1:4 |
| 17 | ალავესი | 0:0 | 0:3 | | 0:1 | 2:1 | 1:0 | | 1:1 | | 0:2 | 3:4 | 1:1 | | 2:2 | | 0:3 | ■ | 3:1 | 0:0 | 3:2 |
| 18 | სოსიედადი | 0:2 | 2:2 | 1:2 | 1:2 | | | 2:0 | 1:3 | 3:2 | 1:3 | 3:0 | 0:1 | 3:3 | | 1:1 | 2:1 | 2:1 | ■ | 2:0 | |
| 19 | კადისი | 1:3 | 1:2 | 1:3 | 0:1 | 0:4 | 1:1 | | 1:1 | 1:1 | 1:2 | 1:0 | 2:0 | 1:0 | 1:1 | | 1:2 | 0:0 | | ■ | |
| 20 | მალაგა | 0:0 | 0:2 | 1:2 | 0:0 | | 0:2 | 1:1 | 0:0 | 0:2 | 0:1 | | 1:2 | 2:1 | | 5:0 | 0:2 | 0:0 | 3:1 | 0:2 | ■ |

| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | 30 | 21 | 5 | 4 | 69:26 | 68 | 12 | 2 | 1 | 40:14 | 38 | 9 | 3 | 3 | 29:12 | 30 |
| 2 | რეალი | 30 | 17 | 6 | 7 | 55:27 | 57 | 10 | 2 | 4 | 34:16 | 32 | 7 | 4 | 3 | 21:11 | 25 |
| 3 | ოსასუნა | 30 | 17 | 4 | 9 | 41:33 | 55 | 11 | 2 | 2 | 25:13 | 35 | 6 | 2 | 7 | 16:20 | 20 |
| 4 | ვალენსია | 30 | 14 | 11 | 5 | 39:25 | 53 | 7 | 7 | 1 | 21:12 | 28 | 7 | 4 | 4 | 18:13 | 25 |
| 5 | სევილია | 30 | 15 | 6 | 9 | 38:30 | 51 | 9 | 4 | 2 | 18:9 | 31 | 6 | 2 | 7 | 20:21 | 20 |
| 6 | სელტა | 30 | 15 | 3 | 12 | 31:29 | 48 | 11 | 0 | 4 | 20:11 | 33 | 4 | 3 | 8 | 11:18 | 15 |
| 7 | დეპორტივო | 30 | 13 | 7 | 10 | 40:37 | 46 | 5 | 4 | 6 | 16:18 | 19 | 8 | 3 | 4 | 24:19 | 27 |
| 8 | ვილიარეალი | 30 | 11 | 12 | 7 | 40:30 | 45 | 7 | 5 | 3 | 23:14 | 26 | 4 | 7 | 4 | 17:16 | 19 |
| 9 | ატლეტიკო | 30 | 11 | 10 | 9 | 40:29 | 43 | 6 | 5 | 3 | 19:12 | 23 | 5 | 5 | 6 | 21:17 | 20 |
| 10 | სარაგოსა | 30 | 9 | 14 | 7 | 39:38 | 41 | 5 | 5 | 5 | 21:22 | 20 | 4 | 9 | 2 | 18:16 | 21 |
| 11 | ხეტაფე | 30 | 11 | 7 | 12 | 40:40 | 40 | 7 | 5 | 4 | 27:21 | 26 | 4 | 2 | 8 | 13:19 | 14 |
| 12 | ესპანიოლი | 30 | 9 | 7 | 14 | 32:47 | 34 | 6 | 2 | 7 | 23:22 | 20 | 3 | 5 | 7 | 9:25 | 14 |
| 13 | ბილბაო | 30 | 8 | 9 | 13 | 32:38 | 33 | 5 | 5 | 5 | 14:13 | 20 | 3 | 4 | 8 | 18:25 | 13 |
| 14 | რასინგი | 30 | 7 | 12 | 11 | 26:33 | 33 | 3 | 5 | 7 | 11:17 | 14 | 4 | 7 | 4 | 15:16 | 19 |
| 15 | ბეტისი | 30 | 8 | 9 | 13 | 27:40 | 33 | 6 | 4 | 5 | 14:14 | 22 | 2 | 5 | 8 | 13:26 | 11 |
| 16 | მალიორკა | 30 | 7 | 10 | 13 | 29:45 | 31 | 4 | 6 | 4 | 16:18 | 18 | 3 | 4 | 9 | 13:27 | 13 |
| 17 | ალავესი | 30 | 7 | 9 | 14 | 32:47 | 30 | 4 | 5 | 5 | 16:21 | 17 | 3 | 4 | 9 | 16:26 | 13 |
| 18 | სოსიედადი | 30 | 8 | 4 | 18 | 36:57 | 28 | 6 | 3 | 6 | 24:23 | 21 | 2 | 1 | 12 | 12:34 | 7 |
| 19 | კადისი | 30 | 6 | 9 | 15 | 21:38 | 27 | 3 | 5 | 7 | 13:21 | 14 | 3 | 4 | 8 | 8:17 | 13 |
| 20 | მალაგა | 30 | 5 | 8 | 17 | 30:48 | 23 | 3 | 5 | 8 | 13:18 | 14 | 2 | 3 | 9 | 17:30 | 9 |



# შაბათი და–სვენების დღეა

**დღეს** სვენ გორან ერიკსონი „რეალთან“ მოლაპარაკებას გამართავს. მადრიდული გიგანტის წარმომადგენლები ამ მოლაპარაკებისთვის საგანგებოდ ჩაფრინდნენ ლონდონში.

მოგეხსენებათ, „რეალის“ შეფებმა ერიკსონამდე „მილანის“ თავკაცთან კარლო ანჩელოტისთან სცადეს ურთიერთობის დამყარება, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ საქმიდან არაფერი გამოუვათ და ახლა შვედს მიადგნენ. ცნობილია, რომ ერიკსონი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ანუ ამ ზაფხულს ინგლისის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობიდან გადადგება.

ამბობენ, რომ გარიგება, თუ ასეთი შედგება, მომავალი კვირისთვისაა მოსალოდნელი.

**პაპუნა ძედია**

# აგეროს ლივერპული წამოსცდა

**ახალგაზრდა** არგენტინელი სერხიო აგერო, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ უნიჭიერეს ფეხბურთელად ითვლება, შესაძლოა „ბაიერნში“ აღმოჩნდეს თუმცა, „ინდეპენდიენტეს“ 17 წლის ვარსკვლავს, რომელსაც შემტევ ნახევარმცველადაც შეუძლია თამაში და თავდამსხმელადაც, „ლივერპულსაც“ უკავშირებენ.



ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ სეზონის ბოლოს „ბაიერნს“ მიხაელ ბალაკი დატოვებს და მიუნხენელებიც უკვე მის შემცვლელს ეძებენ. აგერო კი მთავარი კანდიდატი ყოფილა. ზაფხულში ერთ თავდამსხმელს აუცილებლად დაიმატებს „ლივერპულიც“ და ეს შეიძლება 15 მილიონ ევროდ შეფასებული არგენტინელი იყოს. „ენფილდის“ ბინადართა შანსებს ისიც ზრდის, რომ თავად ფეხბურთელს ძალიან სდომებია „ლივერპულში“ გადასვლა.

აი, რა განუცხადა აგერომ ერთ-ერთ მიუნხენურ გაზეთს: „არჩევანის წინაშე რომ დავდგე, უპირატესობას პრემიერლიგას მივანიჭებ. ბავშვობიდან „ლივერპულის“ ქომაგი ვარ და ამ გუნდში თამაში ჩემი ოცნებაა. „მილანთან“ ჩემპიონთა ლიგის ფინალს ვუყურებდი და ინგლისელთა ყველა გოლი ისე მიხაროდა, როგორც „ინდეპენდიენტეს“ გოლები მიხარია ხოლმე“.

მიუნხენის „ბაიერნის“ თავმჯდომარე კარლ-ჰაინც რუმენეგე: „აგერო ძალიან ნიჭიერია და უნდა ვიაქტიუროთ, სანამ საქმეში იტალიური და ინგლისური კლუბები ჩაერთვებიან. მაშინ იგი უკვე ძალიან გაძვირდება. მართალია, სერხიო ძალიან ახალგაზრდაა, მაგრამ მის ნიჭს თუ გავითვალისწინებთ, გარისკვა ღირს“.

**კოკი კანდელაკი**

## UEFA CUP უეფას თასი 2005-06. 1/4ფინალი. პირველი მატჩები

# სავიოლა ზენიტშია

**ლევსკი (ბულგარეთი) 1:3 შალკე (გერმანია)**

1:0 ბორიმიროვი (6), 1:1 ვარელა (48), 1:2 ლინკოლნი (69), 1:3 ასამოა (79)

ლევსკი: პეტკოვი, მილანოვი, ტოპუზაკოვი, ტომაშიჩი, ვაგნერი, ბორიმიროვი, ს. ანგელოვი, ტელკიუსკი (ბუკარევი 76), ბარდონი, იოვოვი (კოპრივაროვი 70), დომოვჩისკი (ე. ანგელოვი 58)

მწვრთნელი: სტანიმირ სტოილოვი

შალკე: ფ. როსტი, ჰამიტ ალტინტოპი, ბორდონი, კრსტაიჩი (დ. როდრიგესი 83), კობიაშვილი, კ. პოულსენი, ფ. ერნსტი, ლინკოლნი, ასამოა, კურანი (სანდი 74), ლარსენი (გ. ვარელა 46)

მწვრთნელი: მირკო სლომკა

გაფრთხილება: ბორიმიროვი, ბარდონი, ვაგნერი, ლარსენი, ბარდონი, ერნსტი, ალტინტოპი

გაძევება: ბარდონი (35)

მსაჯი: მაიკლ რაილი (ინგლისი)

38 000 მაყურებელი

**რაპიდი (რუმინეთი) 1:1 სტიაუა (რუმინეთი)**

0:1 ნიკოლიტა (5), 1:1 მოლდოვანი (50)

რაპიდი: კომანი, კონსტანტინი, მაფტეი, რადა, ბადოი, დიკა (ნეგრუ 79), კ. სტანჩუ, ი. სტანჩუ (გრიგორე 46), რ. ნიკულაე, მოლდოვანი (ბურდუხანი 65), ბუგა

მწვრთნელი: რაზვან ლუჩესკუ

სტიაუა: კარლოსი, ოგარარუ, გოიანი, გიონია, მარინი, ნიკოლიტა (ნესუ 90), რადოი, პარაშივი (კრისტოცია 67), დიკა, ორპიტა, კრისტია (ლოვინი 60)

მწვრთნელი: აურელიან კოზმინ ოლაროიუ

გაფრთხილება: გრიგორე, ოგარარუ, ნიკოლიტა, რადოი

მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

15 000 მაყურებელი

**ბაზელი (შვეიცარია) 2:0 მიდლსბრო (ინგლისი)**

1:0 დელგადო (43), 2:0 დეგენი (45)

ბაზელი: ცუბერბიულერი, მაისტოროვიჩი, ბერნერი, სმილიანიჩი, სტერიოვსკი (ჩიპერფილდი 64), ი. ბა, მ. დელგადო, დ. დეგენი, ზანი, ედუარდო, პეტრიჩი (ერგიჩი 85)

მწვრთნელი: კრისტიან გროსი

მიდლსბრო: შვარცერი, პარნაბი, რიგოტი, პოგატეცი (ეჰიოგუ 68), კედრუ, მენდიეტა (როჩემბაკი 74), პარლოუ, დორივა, დაუნინგი, ჰასელბაინკი (აიეგბენი 74), ვიდუკა

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

გაფრთხილება: დეგენი, მაისტოროვიჩი, დაუნინგი, რიგოტი

მსაჯი: რობერტო როზეტი (იტალია)

23 639 მაყურებელი

**სევილია (ესპანეთი) 4:1 ზენიტი (რუსეთი)**

1:0 სავიოლა (15), 1:1 კერჟაკოვი (45), 2:1 მარტი (56პ), 3:1 სავიოლა (80), 4:1 ადრიანო კორეირა (90)

სევილია: პალოპი, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, ესკუდე, ფ. ხორდი (ბლანკო 81), რენატო, ადრიანო კორეირა, მარტი (მარესკა 75), ფ. სალესი (პუერტა 63), სავიოლა, კანუტი

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

ზენიტი: მალოფეევი, შკრტელი, კრიჟანაცი, ანიუკოვი, რადიმოვი, შირლი (პ. მარეში 76), ჰაგენი, სუმოლიკოსკი (გორშკოვი 88), დენისოვი (სპივაკი 29), ა. კერჟაკოვი, არშავინი

მწვრთნელი: ვლასტიმილ პეტრჟელა

გაფრთხილება: არშავინი, მარტი, სუმოლიკოსკი, კანუტი, პალოპი, გორშკოვი

გაძევება: ჰაგენი (53), არშავინი (90)

მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)

15 000 მაყურებელი

*საპასუხო მატჩები 6 აპრილს გაიმართება*

**სოფიის** „ლევსკისთვის“ „შალკესთან“ მატჩი მშვენივრად დაიწყო. მე-6 წუთზე ჰამიტ ალტინტოპმა მარჯვენა ფლანგზე ბურთი ჩააბარა დანიელ ბორიმიროვს, 36 წლის ვეტრანმაც მლადენ კრსტაიჩი ჩამოიშორა და გოლი გაიტანა. ამის მერე მასპინძლებმა მეტოქეს უპირატესობა დაუთმეს. 35-ე წუთზე სედრიკ ბარდონმა ლევან კობიაშვილთან ორთაბრძოლისას მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და „ლევსკი“ ათი კაცით დარჩა.

მეორე ნახევარში „შალკემ“ რიცხობრივი უპირატესობა კარგად გამოიყენა. შეცვლაზე შესულმა გუსტავო ვარელამ 48-ე წუთზე იყოჩაღა და 1:1. ბულგარელებს უმალვე შეეძლოთ დაწინაურება, მაგრამ ფრანკ როსტთან პირისპირ გასულმა ვალერი დამოვჩისკიმ ვერ ივარგა, ლინკოლნის ბრწყინვალე დარტყმამ კი ანგარიში სტუმრების სასარგებლოდ შეცვალა. 79-ე წუთზე კობიაშვილის წაქცევისთვის დანიშნულ ჯარიმას ჯერალდ ასამოას გოლი მოჰყვა.

ამ გამარჯვებით „შალკემ“ ალბათ გაინაღდა ნახევარფინალი და, შეიძლება ითქვას, მისი მეტოქის ვინაობაც უკვე ცნობილია, რადგანაც „სევილიამ“ „ზენიტი“ 4:1 გაანადგურა. რუსებს „სანჩეს პისხუანზე“ ორი კაცი გაუძევეს, 53-ე წუთზე ერიკ ჰაგენი და 90-ეზე ანდრეი არშავინი. თანაც ჰაგენის გაგდებისას პენალტიც დაინიშნა და ამ ეპიზოდმა გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. პეტერბურგელთა ჩეხი თავკაცი ვლასტიმილ პეტრჟელა ლუქსემბურგელი მსაჯის ალან ჰამერის საქციელმა აღაშფოთა.



სავიოლამ მალოფეევი ორჯერ დააჩოქა

„სევილიას“ სწრაფი გოლის გატანა ჰქონდა გადაწყვეტილი და თავიდანვე ეკვეთა მეტოქეს. შედეგად, მასპინძელთა იერიშები მე-15 წუთზე ლოგიკურად დასრულდა ხავიერ სავიოლას თავური გოლით. ზენიტელებმა ტაიმის შუაწელს თამაში შედარებით გაათანაბრეს, შესვენებამდე რამდენიმე წამით ადრე კი არშავინი-კერჟაკოვის წყვილმა თავისი გაიტანა. პირველმა ჩააწოდა, მეორემ კი თავურით ეფექტურად შეაგდო.

მეორე ტაიმის დებიუტი სტუმრებს ცუდს არაფერს უქადდა. თუმცა, 29-ე წუთზე დაშავებული დენისოვის ნაცვლად მინდორზე შესული ალექსანდრ სპივაკი შეცდა, რასაც საბოლოოდ პენალტი და ჰაგენის გაძევება მოჰყვა. მარტიმ კი თერთმეტმეტრიანი ზუსტად დაარტყა. დარჩენილ დროში ესპანელები სრულ უპირატესობას ფლობდნენ და არგენტინელმა სავიოლამ დუბლი გაიფორმა. ბოლოს კი „ზენიტმა“ ადრიანო კორეირასგან მეოთხე გოლიც მიიღო.

ბუქარესტული დერბი, როგორც მოსალოდნელი იყო, დაძაბულად წარიმართა. „სტიაუა“ უკეთ თამაშობდა და მე-5 წუთზე ბანელ ნიკოლიტას მშვენიერი დარტყმით დაწინაურდა. „რაპიდი“ ამან ცოტათი დააბნია, თუმცა მასპინძლებს გათანაბრება შესვენებამდეც შეეძლოთ.

სამაგიეროდ, „რაპიდმა“ მეორე ნახევარი მეტოქეზე უკეთ ჩაატარა და მოგებაც შეეძლო, მაგრამ რამდენიმე საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა. ანგარიში კი 50-ე წუთზე „სტიაუას“ მეკარის, კარლოს ალბერტო ფერნანდესის შეცდომის წყალობით ვიორელ მოლდოვანმა გაათანაბრა.

„სტიაუა“ პირველ ტაიმში გვჯობნიდა, მაგრამ ვითარების გამოსწორება შევძელით. საპასუხო მატჩში მოსაგებად ვიბრძოლებთ და მჯერა, ბევრად უკეთ ვითამაშებთ“ — თქვა „რაპიდის“ მცველმა ვასილე მაფტეიმ.

ბანელ ნიკოლიტა: „ჩემი გოლი შესაძლოა, გადამწყვეტი აღმოჩნდეს.“

„ბაზელმა“, რომელიც „მიდლსბროსთან“ პირველ ნახევარში მცირე უპირატესობას ფლობდა, ტაიმის მიწურულს მეტოქეს ორჯერ გაუტანა — დელგადომ შორეული დარტყმით და დეგენმა ედუარდოს პასით. შედეგად, ინგლისელები რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ. შესვენების შემდეგ სტივ მაკლარენის შეგირდები ყველანაირად ცდილობდნენ თუნდაც ერთი ბურთის გაქვითვას და არაერთი შანსიც ჰქონდათ, მაგრამ...

**გიორგი ძაძამიძე**



# ბაკინი კოკაინის ჭამას არ გადაეჩვია

**31 წლის** ჯონათან ბაკინის ორგანიზმში მეორედ აღმოუჩინეს კოკაინის კვალი და სამუდამოდ მოკვეთეს ფეხბურთიდან.

ბაკინი პირველად 2004 წლის 22 სექტემბერს „ბრეშასა" და „ლაციოს" თამაშის შემდეგ ამხილეს ნარკოტიკთან ურთიერთობაში. მაშინ ის „ბრეშაში" გამოდიოდა და ამ ინციდენტის გამო გუნდიდანაც გააგდეს, მაგრამ განუწყვეტლივ იმეორებდა, რომ უცხო ნივთიერება მის ორგანიზმში ტკივილგამაყუჩებლის გზით მოხვდა და „სიენამ" აიყვანა. ამ ამბიდან გამოხდა რამდენიმე თვე და 2006 წლის 9 იანვარს მას მეორედ დაუდგინეს კოკაინთან ურთიერთობა.

„ახლა ბაკინის რაიმეს კომენტირების სურვილი არ აქვს. ჯერ ფეხბურთის ფედერაციის სრულ განცხადებას დაველოდებით და იმის მიხედვით მოვიქცევით. ალბათ, გადაწყვეტილებას გავასაჩივრებთ" — განაცხადა ფეხბურთელის ადვოკატმა პაოლო როდელამ.

**პაპუნა ძიძია**

# რომარიოს ამერიკაში ჰ6 უნდა



**ბრაზილიელი** ვეტერანი, 40 წლის რომარიო ბურთს კვლავ არ ეშვება და წლეულს აშშ-ში, კერძოდ, მაიამიში მიდის, სადაც „იუნაიტედ სოკერ ლიგ"-ში უნდა ითამაშოს. სექტემბრიდან კი 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონი კვლავ „ვასკუ და გამაში" აპირებს დაბრუნებას. ეს საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე ბრაზილიური კლუბის პრეზიდენტმა ეურიკო მირანდამ განაცხადა.

ზემოთ ნახსენები ამერიკული საფეხბურთო ლიგის დასახელება ალბათ გეუცხოვათ. მართლაც, ჩვენში ცნობილი MLS ანუ „მეიჯორ ლიგ სოკერია", მაგრამ ამ უმაღლეს დონეს თავისი ქვედა ეშელონებიც აქვს და სწორედ ასეთი გახლავთ USL, რომელშიც რომარიომ უნდა გააგოროს ბურთი.

რაც შეეხება კლუბს, რომელშიც „ბარსელონას" ყოფილი ვარსკვლავი გადადის, იგი ბრაზილიურ კომპანია „ტრეფიკ სპორტსს" ეკუთვნის.

ჟულიო მარისი, „ტრეფიკ სპორტსის" პრეზიდენტი: „ჩვენი ამოცანა საერთაშორისო სარბიელზე კონკურენტუნარიანი გუნდის შექმნაა. დღეს ჩვენ რომარიოს შევიმატებთ და ამით დიდ ნაბიჯს გადავდგამთ სწორი მიმართულებით".

სხვათა შორის, „მაიამიში" თამაშობს 1994 წლის კიდევ ერთი მსოფლიო ჩემპიონი ზინიო.

და ბოლოს, რომარიოს კარიერაში მე-1000 გოლამდე 36 აკლია.

**პაპუნა ძიძია**

# ოცნებაო ჩემო, ანრი

**„ინტერის"** პატრონმა მასიმო მორატიმ კვლავ ტიერი ანრიზე ჩამოაგდო სიტყვა — ფრანგს თუ ვიყიდი უბედნიერესი კაცი ვიქნებიო.

გასულ სამშაბათს ანრის თამაშმა ჩემპიონთა ლიგაში, მთელ მსოფლიოს ერთხელაც დაანახა თუ რა სიდიდის ვარსკვლავი ჰყავთ მეთოფეებს, რასაც ისიც ემატება, რომ სრულიად შესაძლებელია ზაფხულში ფრანგი ლონდონიდან წავიდეს.

„ანრი დიდი ფეხბურთელია — განაცხადა მორატიმ — თუმცა დღეს მის გადაბირებაზე ლაპარაკი ოცნებას ჰგავს. ამწუთას ჩვენ უპირატესად ჩვენს განკარგულებაში მყოფ ფეხბურთელებზე ვფიქრობთ, რადგან მათ უნდა მოგვაგებინონ რომელიმე დიდი ტიტული. რაც შეეხება ანრის, ბევრი რამ მის სურვილსა და გეგმებზე იქნება დამოკიდებული. დღეიდან სეზონის ბოლომდე უამრავი რამ შეიძლება მოხდეს".

ბოლო ხანს ყველაზე ხშირად ანრის სახელს „ბარსელონასთან" ერთად ახსენებენ.

**პაპუნა ძიძია**



ნესტა „მილანს" დააკლდება

# იტალია

# ცელქი კალენდრის ტური

**ტრევიზოში** „სტადიო ომობონო ტენიზე" „იუვენტუსმა" აუცილებლად უნდა მოიგოს, თორემ, აგერ, უკვე ერთი კვირაა, მასსა და „მილანს" შორის სხვაობა ათი ქულა კი აღარ არის, მხოლოდ რვაა. და კაცმა რომ თქვას, რატომაც არ უნდა მოიგოს „ბებერმა ქალბატონმა"? ნუ დაიზარებთ და, ცხრილს ჩახედეთ. ხომ ხედავთ, სად არის „იუვე" და სად „ტრევიზო". მავანმა მიმომხილველმა იხუმრა კიდეც, ორივე გუნდმა კარგად იცის, სეზონის ბოლოს რომელ ადგილზე იქნებაო.

მაგრამ იცის კი? ნება მოგვეცით, შეგახსენოთ, რომ ბოლო ხანს „იუვე" სულაც აღარ არის იმ ძალის გუნდი, მთელი სეზონის განმავლობაში რომ იყო, თუმცა „ტრევიზოს" მაინც უნდა ეყოს, ეს თამაში „არსენალთან" საპასუხო მატჩამდე სამი დღით კი არა, სამი საათით ადრეც რომ ჰქონდეს.

„იუვეს" არ ეყოლებიან დისკვალიფიცირებული პაველ ნედვედი და დაშავებული ალესანდრო დელ პიერო.

გთხოვთ, კიდევ ერთხელ ნუ დაიზარებთ და ცხრილს ჩახედეთ: ლეჩეს „სტადიო ვია დელ მარეზე" „მილანი" ჩადის ანუ ერთმანეთის პირისპირ ზემოდან და ქვემოდან მეორეები წარდგებიან. ღმერთო, დიდებულო, ამ ლოგიკით ხომ ზემოდან მესამე „ინტერი" ქვემოდან მესამე „მესინას" უნდა შეხვდეს... ერთი შეამოწმეთ გეთაყვა, მართლა ხომ არ ხვდება?

და სანამ თქვენ ცხრილს ათვალიერებთ, ჩვენ ვიტყვით, რომ წინა ტურში „სიენასთან" 2:1 გამარჯვების მიუხედავად „ლეჩეს" სერია A-ში დასარჩენი პირი არ უჩანს. ლეჩელები „უდინეზეს" მთელი რვა ქულით ჩამორჩებიან და შემდეგ ტურში ანუ „მილანის" შემდეგ „რომას" ეთამაშებიან.

როგორ დამთავრდა „მილანისა" და „ლეჩეს" შეხვედრა პირველ წრეში? ფილიპო ინძაგის მიერ თამაშის მთლად მიწურულს გატანილი გოლის წყალობით 2:1 „როსონერიმ" მოიგო, მაგრამ თუნდაც ბოლო წამზე გატანილი გოლით ამ წყვილის დაპირისპირებაში სხვა შედეგი შეუძლებელი გახლდათ, რადგან ბოლო 23 შემთხვევიდან ლეჩელებმა „სან სიროზე" მხოლოდ ერთხელ მოიგეს, 1997 წელს.

ხვალინდელი თამაში, მართალია, „სან სიროზე" არ არის, მაგრამ, ვფიქრობთ, ამას მნიშვნელობა აღარ უნდა ჰქონდეს. ცნობისთვის: მილანელებს ალესანდრო ნესტა და სერჟინიო ჰყავთ დისკვალიფიცირებული.

„ინტერზე" რა ნახეთ, მართლა „მესინას" ეთამაშება? ამ მატჩის წინ რობერტო მანჩინი ისეთი ზეწოლის ქვეშაა, მეტის წარმოდგენა შეუძლებელია. მოგეხსენებათ, შავ-ლურჯი მილანელები შავ-წითელ თანაქალაქელებს მეორე ადგილს ეცილებიან და წინა ტურში „პარმასთან" წაგების ნება მისცეს თავს, რაც მწვრთნელს შეიძლება ძვირად დაუჯდეს. მანჩინის, სავარაუდოდ არ ეყოლებიან ჯუზეპე ფავალი და ლუიშ ფიგუ, რომელთაც მცირე ტრავმები მიიღეს, რაც შეეხება მარკო მატერაცის, რომელმაც კარიერა სწორედ „მესინაში" დაიწყო, მას, უბრალოდ, არ ათამაშებენ.

ხოლო, როდესაც ლაპარაკი მეოთხე ადგილზეა, კალენდარი ხუმრობას თავს ანებებს და დიდ ბრძოლას აწყობს: „ფიორენტინა" „რომას" ხვდება.

„ამ თამაშს ცხრილში საბოლოო ადგილზე უდიდესი გავლენა ექნება — თქვა „რომას" მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ — გამარჯვებული ალბათ მეოთხეზე გავა, თუმცა, თუ „ფიორენტინა" მოიგებს, მხოლოდ ოთხი ქულით დაწინაურდება, ჩვენ კი ორით".

**პაპუნა ძიძია**

| XXXII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ლეჩე | : | მილანი |
| ტრევიზო | : | იუვენტუსი |
| ინტერი | : | მესინა |
| **ხვალ** | | |
| პალერმო | : | ასკოლი |
| სამპდორია | : | კალიარი |
| ლაციო | : | ემპოლი |
| კიევო | : | ლივორნო |
| უდინეზე | : | პარმა |
| ფიორენტინა | : | რომა |
| რეჯინა | : | სიენა |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იუვენტუსი | | 0:0 | 2:0 | | 1:1 | 1:0 | | 3:0 | | 1:1 | 2:0 | 2:1 | 2:0 | 1:0 | 2:1 | 4:0 | 1:0 | 1:0 | 3:1 | 3:1 | 31 | 24 | 6 | 1 | 61:20 | 78 | 13 | 3 | 0 | 29:6 | 42 | 11 | 3 | 1 | 32:14 | 36 |
| 2 | მილანი | 3:1 | | | 3:1 | | | 2:0 | | 2:1 | 4:3 | 1:1 | 1:0 | 3:1 | 2:1 | 3:0 | 1:0 | 5:1 | 4:0 | 2:1 | 5:0 | 31 | 22 | 4 | 5 | 70:25 | 70 | 14 | 1 | 0 | 41:11 | 43 | 8 | 3 | 5 | 29:14 | 27 |
| 3 | ინტერი | 1:2 | 3:2 | | 1:0 | 2:3 | 1:0 | 3:1 | 5:0 | 3:0 | 2:0 | 1:0 | 1:0 | | | 4:1 | 3:2 | 3:1 | | 3:0 | 3:0 | 31 | 20 | 5 | 6 | 56:24 | 65 | 14 | 0 | 2 | 39:12 | 42 | 6 | 5 | 4 | 17:12 | 23 |
| 4 | ფიორენტინა | 1:2 | 3:1 | 2:1 | | | 2:1 | 1:2 | 3:2 | 1:0 | 4:1 | 2:1 | 3:1 | 2:1 | | | 2:1 | 4:2 | 2:0 | 1:0 | 1:0 | 31 | 18 | 6 | 7 | 52:34 | 60 | 14 | 0 | 2 | 34:16 | 42 | 4 | 6 | 5 | 18:18 | 18 |
| 5 | რომა | 1:4 | 1:0 | 1:1 | 1:1 | | 4:0 | 1:1 | 3:0 | 1:2 | 4:1 | | 2:1 | 2:3 | 3:1 | 1:0 | 4:3 | 0:1 | 2:1 | | | 31 | 17 | 8 | 6 | 57:31 | 59 | 9 | 3 | 4 | 31:20 | 30 | 8 | 5 | 2 | 26:11 | 29 |
| 6 | კიევო | 1:1 | 2:1 | 0:1 | | | | 2:2 | | 0:0 | 1:0 | 1:1 | 1:1 | 4:1 | 4:0 | 2:2 | 2:1 | 2:0 | | 3:1 | 0:0 | 31 | 11 | 12 | 8 | 44:37 | 45 | 7 | 7 | 1 | 25:12 | 28 | 4 | 5 | 7 | 19:25 | 17 |
| 7 | ლაციო | 1:1 | 0:0 | 0:0 | 1:0 | 0:2 | 2:2 | | | 4:2 | | 2:0 | 4:1 | 3:2 | 2:1 | | 1:1 | 1:1 | 1:0 | | 3:1 | 31 | 11 | 12 | 8 | 40:39 | 45 | 8 | 6 | 1 | 25:14 | 30 | 3 | 6 | 7 | 15:25 | 15 |
